საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/9358
14/06/2021

9358-2-03-2-202106141425

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **გიორგი კაპანაძეს**

ბატონო **გიორგი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2021 წლის 9 მარტის №34-3421068233 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ მისაქციელში, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ4-ის მიმდებარედ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობიდან (საკ. კოდი 72.03.22.506) – **169 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP და დანართის მიხედვით) აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **თანახმაა** შეითანხმოს მოცემული **169 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP და დანართის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) **შეუთანხმებლად აკრძალულია** ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge